

3306 20 მარტი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.


რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

მშენებელი

მათრახი

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 12



ჩვენს

„ჩვენ გვაოცებდა ჩვენი თვალები... და როდესაც აენტო ცეცხლის კოცონი, ამაღლდა ერთი ჩვენს შორის და ცეცხლის ფრთებს გაატანა ცაში შემდეგი აღსარება...“.

ჩვენს

ხურუშიანები.

ქუთაისის ცხოვრება წესიერ კალაპოტში იდგა: უმთავრეს ქუჩებში და ბულვარდში საშუალო სასწავლებლის უფროს კლასთა მოწაფეები უწინდებურათ თამაშობდნენ ოთურმას ანუ „ჩეხარდას“ და საოცარის სიძარდით. გადადიოდნენ გამვლელ მანდილოსანთა და მცხოვან მამაკაცთა თავებზე.

ერთხელვე სამუდამოთ დაკანონებულ ჩვეულებისამებრ ყოველ ოთხშაბათსა და შაბათ ღღეს წესიერათ იტაცებდნენ მდიდარ ვაჭრებსა, მათ შვილებს და ოსტატურათ მალავდნენ ცხრა მთას იქით, სვანეთის მთაგრეხილის უღრან ტყეში, „ქომაში“, გამოასყიდ ფულის მიღებამდე.

„მედვედში“, „ლევში“ და „ბორჯომში“ განუწყვეტელი „ცედური“ მრავალჯამიერი მოისმობდა, მიუხედავათ იმისა, რომ ომის დაწყების შემდეგ ამ „სასადილოებში“ ერთი ცვარი ღვინოც არ იშოვებოდა..

ერთი სიტყვით, ქუთაისში ყველაფერი რიგზე იყო და როგორც აქაურ ქუჩებში ჩამდგარ ქაობებში ვერ წარმოიდგენ გააფთრებულ ქარიშხალს, ისევე წარმოუდგენელი იყო ქუთაისის ცხოვრების შეცვლა და შეშფოთება.

მაგრამ ერთ მშვენიერ ღღეს ისეთი რამ მოხდა, რომ შეუძლებლობაც კი სინამდვილეთ იქცა და მაშინ ერთბაშათ შეწყდა მოწაფეების ოთურმაც, ვაჭრების მოტაცებაც და „ცედური მრავალ-ჯამიერიც“:

შუა ბულვარდში, დღისით, საჯაროზე, დარაზმულათ გამოვიდა რამდენიმე ნორჩი ახალგაზრდა ვაჟი და ერთი ქალი, თვალის დახამხამებაში შემოიხიეს ტანისამოსი და გატიტვლდნენ ქვეყნის თვალწინ ისე, რომ ღელვის ფურცელიც არ მიიფარეს. მხოლოდ ქალმა მოიხმარა ქალური კდემამოსილობა და პერანგის ამარა იდგა ტიტლიკანა ვაჟებს შორის.

ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ მაყურებელი ხალხი წინაპირველათ სახტათ დარჩა, შემდეგ როცა გონს მოვიდა, დაფრთხა და გაქცევა დააპირა.

— შემოეცალეთ, ბატონებო, შემოეცალეთ: ახლავე ქვის სროლას დაიწყებენ,— ყვიროდა ვიღაცა.

მაგრამ რაკი ქვის ასადებათ არავინ იხრებოდა, დაშოშმინდნენ და ქუთათური ცნობის მოყვარეობით

გარს შემოერტყენ უცნაურ სურათს. წინა წყებაში ქალები იდგნენ.

მაშინ ერთი ტიტველთაგანი გამოეყო რაზმს, შურდულივით მივარდა პერანგის ამარა ქალს, ხელის ერთი მოძრაობით „ჩამოხსნა უკანასკნელი ტანსაფარავი“ და გაატიტვლა.

ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა, სამხედრო მიმოხილველთა ენით რომა ვსთქვათ, მაყურებელთა რაზმების გადაჯგუფება გამოიწვია: ქალებმა თვალზე ხელი აიფარეს და ნაზი შეკივლებით უკან დაიხიეს. ხოლო მამაკაცებმა მოწინავე პოზიციები დაიჭირეს და დაგვიღობით მიაშტერდნენ უცხო სურათს.

მხოლოდ კიტა აბაშიძემ გაარღვია მაყურებელთა წრე, რალაც უცნაური სისწრაფით გადასდგა რამენიმე ნაბიჯი ტიტველებისაკენ, საოცარის გაფაციცებით გაასუფთავა სათვალე და თვალებზე მოიმარჯვა. კიტა აღტაცებით იდგა კისერ წაწვდილი და ისე მისჩერებოდა ტიტველ ქალ-ვაჟს, როგორც ოპერეტის მენელაოსი მშვენიერ ელენეს.

უცებ ტიტველი ვაჟი წამოდგა, ავაზისებური სისწრაფით შეახტა მხრებზე ტიტველ ქალს, სახარლათ დააბრიალა თვალები და დაიძახა:

— ვიდრე მე და ჩემი ძმები ასე ვაბრიალებთ თვალებს, დედათა სქესი ჩვენ ვერ გაგვიძლებს... შეიყვარეთ ქალი ვნებიან... და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი!

ამ უჩვეულო განცხადებას კი ველიარ გაუძლო ხალხმა და დაიშალა.

მხოლოდ კიტა იდგა იმავე ადგილას, ისეთივე პოზით და ნერწყვის ხშირი ყლაპვა მის განცდას სავსებით ამხელდა...

ეს საოცარი ამბავი ამით როდი გათავებულა. ტიტველი ვაჟის განცხადებამ ბევრი ქუთათური ჩააფიქრა, უფრო კი ცოლიანი ქუთათურები. არავინ ამხელდა, თორემ ყველა ამათ საერთო აზრი აწუხებდა: „არა, როგორ რიხით დაიძახა ჩვენ დედათა სქესი ვერ გაგვიძლებსო! ერთიც ვნახოთ, მართლაც გაუწყრათ ღმერთი და შეუდგენ თავიანთ



პროგრამის შესრულებას“,—ფიქრობდენ ისინი, მაგრამ ამ აზრის ხმა მაღლა გამოთქმა სცხვენოდათ და ერთმანეთს რომ შეხედებოდენ, ასეთ მუსაიფს გააბამდენ ხოლომე:

- გამარჯობა, ჰა-ჰა-ჰა!
- გაგიმარჯოს, ჰე-ჰე-ჰე!
- შენ რა გაცინებს, კაცო, ჰა-ჰა-ჰა!
- სწორეთ ის რაც შენ, ჰე-ჰე-ჰე!
- იმე, გინახავთ ამისანე ხურუშიანი ყმაწვილები?

— შენი დამკვლელი ვიყო, თუ გამეგონოს, არა თუ მენახოს! ბატონო, ჩვენც ვიყავით ყმაწვილები, ჩვენც გვიყვარდა იგი, რა ქვია, ღმერთო, შენ გამახსენე, ჰო... ჩვენც ქეიძავშობოლით... ჩვენც ქე ვარშიყობდით, მარა ამისთანე არაფერი გამიგონია, შენ ძმობას ვფიცავარ! ნამეტანი ხურუშიანები ყოფილარჩენ, ნამეტანი!

— მაგენი, შენ ნუ მომიკვდები, გასაციმბირებელი არიენ, გასაციმბირებელი!

— კაი დაგემაართოს, მარა რო არაფელი ოკრუინ სუდი ხარ! რაფერათ ვააციმბირებ?...

ბოლოს, ერთ საზოგადოებაში, ერთმა სხვებზე უფრო თამამმა ქუთათურმა ვაბედა საერთო სატკივარის გამჟღავნება.

— თქვენ ქე იცინით, ჩემო ძამიებო და მართლა რო გაუწყურეს ღმერთი... ხომ იცით, ქალის ქკუა მოკლეა...

— შენი ოჯახი ააშენოს ქრისტე-მაცხოვარმა! ერთხმათ წამოიძახა რამდენიმე კაცმა: ჩვენც მაგას არ ვტირით და არ ვჩივით?

— ჰო და საქმეს დროზე უნდა შეველა, თვარა წავგიპილწენ ოჯახი და ეს არი, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს!..

ესლა ყველამ ამოიღო ხმა და შეუდგენ „ხურუშიანების“ საწინააღმდეგო ღონისძიებათა ძებნას.

— მაგენტან არც სიამტკბილობა გაგივა, არც დაქაღნება და არც მუშტი და ბლიკვი. მაგენს ისთველე რამენაირათ თუ არ დუუცხრეთ ის უცნაური ხურუში რომ ასტეხიათ, ისე არაფელი იქნება! —გამოაცხადა ერთმა.

— აუი, ა! დიდი მადლობელი ვარ, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს! მაგენს დაუცხრობ შენ ხურუშს? ხომ ხედავ, რომ იძახიენ? „თავს არ დევიზოგავთო!“ შენგან არ მიკვირს?—შენიშნა მეორემ.

— კაცო, ჯერ დამათავებიე და მერე მიკივ-

ლე,—დაიწყო ისევ პირველმა:—ჰო და, რაკი ხურუშის დაცხრობაა საქირო..

— კაი რამეს არ გვიჩვენებს?.. მერე სად გამოვყოთ თავი?.. ვის შეგხედოთ თვალეში!.. აჰა-ჰა-ჰა-ჰა! ეს არ იფიქრო...—წამოიძახეს აქეთ იქიდან.

ბევრი სხვა აზრიც გამოითქვა, მაგრამ არცერთი არ მოიწონეს. ბოლოს ერთმა დამსწრე ინტელიგენტმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ქართულ ლიტერატურას კარგათ იცნობდა, შემდგეგი წინადადება წარმოთქვა.

— ბატონებო! მე დაგინხნით გასაქირისაგან! თუ გინდათ, რომ სამუდამოთ დაჰკარგონ ის რალაც „ხურუშია“, მიბძანდით კიტა აბაშიძესთან და სთხოვეთ, რომ ერთი საჯაროთ შეაქოს ისინი. მორჩა და გათავდა! მეტი არაფერი უნდა!

— კაცო, რას ამბობ? კიტა რა შუაშია? ავჯიხსენი, თუ ღმერთი გწამდეს,—მიაძახეს ერთხმათ.

— კიტა იმ შუაში გახლავთ, რომ ვისაც ის საჯაროთ აქებს, წერით იქნება თუ ზეპირათ სულღერთია, ის მერე კაცათ აღარ გამოდგება. ვინ იცის, რამდენი ახლოგაზდა კაცი დაუღუპავს კიტას ქების ამ თვისებას... სთხოვეთ და თუ დაგთანხმდათ სიტყვას გაძღვეთ, რომ აუცილებლივ მიიღწევთ მიზანს. ოლონდ თქვენი განზრახვა კი არ გაუმხილოთ.

ეს წინადადება ყველამ მოიწონა და კიტასაც დიდი თხოვნა არ დასქირდა. „ხურუშიანების“ შექება მას უამათოთაც გადაწყვეტილი ჰქონდა და ამიტომ სიამოვნებით დააკმაყოფილა მათი თხოვნა.

დანიშნულ საღამოს, ქუთაისის თეატრის ფონდის სასარგებლოთ გამართულ საჩიავში კიტამ შეიყვანა „ხურუშიანი“ ვაჟები და დამსწრეებს შემდეგი სიტყვით მიმართა:

— „ბატონებო! დღეს მთელი კაცობრიობა აუწერელ გასაქირს განიცდის. სისხლის ღვრას დასასრული არ უჩანს და ახლოგაზრდა ვაჟთა რაზმები დაუნდობლოთ იცელება ბრძოლის ველზე. ჩვენი სამშობლოც, საქართველოც, საერთო უბედურების მოზიარეა და მისი ვაჟკაცნიც იხოცებიან ომის ასპარეზზე. ამისდაგვარათ ჩვენში თან-და-თან კლებულობს მამაკაცთა რიცხვი, ეს ვარემოება კი დიდ უბედურებას უქადის უამისოდაც მცირერიცხოვან ქართველ ერს. აი, ამ საერთო უბედურებასთან, ხალხის შემცირებასთან საბრძოლველოთ გამოვიდნენ ზეგარდმო ნიქით ცხებულნი და უშიშარი ვაჟები,

რომელნიც თქვენ წინაშე დგანან მხოლოდ ამოგენიოს ტვინში დაიბადა და უშიშარ გულში აღინთო დროს შესაფერი აზრი და გრძობა და ესენი კისრულობენ საშიშარ დანაკლისის ასანახლაურებალათ „დაუზოგავათ მრავლებას ქართველი ხალხისას!“ დე, ამიერიდგან ეს ლოზუნგი გახდეს საერთო ლოზუნგი და ყველამ შეიგნოს მისი დიადი მნიშვნელობა“!

სიტყვის გათავების შემდეგ კიტამ „ჩამოხსნა ტანსაფარავი“ ხურუშიანებს და გაატრავლა.

ეს იყო და ეს. კიტას ქებას გასჭრა და მას შემდეგ „ხურუშიანების“ ხსენებაც ისე გაჭრა, როგორც კიტას მიერ სხვა ნაქებ ახალგაზდობის გენიოსობა.

მაგრამ კიტას გამოსვლა ამ საჩაიეში სხვა მნიშვნელოვანი შედეგიც მოჰყვა.

ფედერალისტების პარტია ორ ბანაკათ გაიყო და სოციალისტ-ფედერალისტებს გამოეყვენ ეგრედ წოდებული „ხურუშიან-სოციალისტ-ფედერალისტები“, რომელთა ორგანოთ გაზ. „მეგობარი“ გამოცხადდა.

ასეთი განხეთქილება მარტო ინტელინგეტ წრეებში როდი მომხდარა. ფედერალისტთა მშრომელი ხალხიც, ე. ი. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეებიც, ორათ გაითიშა: I—IV კლასამდე ძველგზას შერჩა, ხოლო V—VIII—ხურუშიანებს მიეხრო.

თავუნა.




ელიჩკა დარიანი.

მზის აყვავება გამომტაცებს მწველ აღმიანს,
(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა)
და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს
ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კატა.

რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება?

(ეჭენე დარიახის ჯერ დაუბეჭადვი ლექსი).

ვნებით აგზნებულ ტანში მივლის მე ერუანტელი,
 ტკბილ მოლოდინის ერუანტელი ნარნარით მივლის,
 და ისე ველი ვილაღ ვაჟსა, ვით ალს კანდელი,
 ვით მწვანე ყანა, ნაწვიმარი, მხურვალე ივლისს.
 ვგრძნობ, მეპარება ფეხშიშველი, უშარიშუროთ,
 და მხოლოდ სუნთქვა ვნებიანი სწვდება ჩემ ყურებს...
 ვფიცავ, ამ ტანის ერთი ნაკვთიც არ დავიშურო,
 ოდეს იმ ვაჟის ცხელი კოცნა სულს გამიხურებს.
 მოვიდა კიდევ... გავირინდე... ჩამომხვეს სამოსს...
 მივტრიალდები და ჩამიხვევს ისეთი ხვევით,
 რომ ერთის ნაცვლათ მომაგონებს ვაჟკაცსა სამოცს...
 მაგრამ—ვაიმე!—როგორ ამწვა ტიტველ ზურგს ქვევით?!
 პირქვე დავეცი... რას ველოდი და რა მარგუნა?
 თხილის წნელს მარტყამს რბილ ადგილზე ვილაღ თაგუნა...
 მარტყამს და ჰყვირის: „დანარჩენნი სად არიანო?
 ფუჰ შენს ნამუსსა, შე ბედშავო, შე.... დარიანო!“.



სირენას სიმღერა.

რეჟიზორი „ჯაჯი და ზუკრუხტა“

ზღვა ირხევა,—

ნაკეც-ნაკეც ათამაშებს ზვირთთა ნავეებს;
ზეგაწოლილს ჩემს მაგარ ტანს არხევს, არწევს, აქანავებს.

მზე ტანს იბანს,—

ცხელი თითით აგზნებს, მიშლის თმის დაღალღებს,
ტალღის ნელი პეშვით მკოცნის, უხვად მაყრის სისხლის ლაღებს.

ვერთვი თვლემას,—

ნელინელ თვალს ენისლება სიზმარეთი
აღარ მახსოვს თუ ვინა ვარ, ზღვის თვალი, თუ მზის ნაკვეთი.

ტანს მეხვევა

ვაფი ვილაც, ლალი, შმაგი, უხვი, ვრცელი:
ტკბილი ვნებით იკეცება ჩვენი ქაფის სარეცელი.

თვალსა ვახელ,—

ეს რა არის?! თითქო გვერდით არვინ სჩანდეს!
და ვით შეშლილს მეწყურება დაბრუნება იმა ლანდის.

ტალღა ტალღის

შლის ნატერფალს, ზვირთნი ჰქმნიან ახალ ნავეებს,
და ხალასი ზღვა მარადის ჩემს ტანს ზანტად აქანავებს.

ვრ. რობაქიძე.

ვირენას სიმღერა.

ნთხეუდიდან „მხაფი-და“): სუ, ნუ ხტა“.

ჰკვა ირყევა,—

ნაქეც—ნაქეცს ათამაშებს ვირთა თავებს,

და აწ მოშლილს, ჩემს ნაყარ ტანს, არღვევს, არყევს, აბურთავებს.

ბზე თავში მაქვს,—

ცხენი ჩლიქით აზრებს მიშლის, თმებს დანალევს,

ბაღლის გრძელი ეშვით მცობნის, ურჯხვად მაყრის წიხლთა ნაღებს.

ვეტიტვლე მას,—

ელლინელ მთვრალს ენის ლევა ჰხამს აგეთი,

კარგათ მახსოვს, ცრუტვინა ვარ, ზღვის ჩაღით და ბზით ნაკეთი.

მფხანს, მემთხვევა

ნაზი ვილაც, საღი, მაკი, უხვ—მუცელი,

თლილი ნიჩბით იხვეტება ჩვენი ლაფის არე ვრცელი.

მყრალსა ვამხელ,—

ესმა არის? თითქო ვედრით არვინ მბანდეს!

და ღვთით შეშლილს, მეშურება დასრულება ამა ბლონდვის.

აღყა ხალხის

შლის ნაწერ კვალს, სკვითნი გეჩრიან „ნახალ“ თავებს,

ბახალასა ჰკვა არ ასდის: ექსტაზს ზანტათ აქ ათავებს.

*) ეს სიტყვა ჰუმბოლტი მისი აზრის აღსადგენათ რამოდენიმეჯერ ზედი-ზედ ჩქარა გაიმეორეთ.



გრ. რობაქიძე.

ტანს მეხვევა

ვაჟი ვილაც, ლალი, შმაგი, უხვი, ვრცელი:

ტკბილი ვნებით იკეცება ჩვენი ქაფის სარცელი.

მაგიუებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი.


ჩემიდან.

უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი,
დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი,
სავენბო გზაზე სიბნელეა, არ სჩანს არავინ,
სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი.

დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება.
და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელ უხლები;
ძილში ჩემს მუცელს ვილაც ვაჟი ეამბორება
და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები.

მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს,
(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!)
და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს
ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კიტა.

ელენე ღარიანი.



უსაზღვრო სიყვარული.

ბინძურო ბოძო ტელეგრ-აფისა,
 ყვითელო რკინავ ზედ კან-აფისა,
 მე ვნებით მიყვარს ქალი გრ-აფისა,
 მამამთავარი კაი-აფისა.

შენი ქოჩორი, ძაფი რკ-ინისა,
 შენი ღუღუნი მთხლეზე ღვინისა,
 ნატერფალია ჩემი ტვ-ინისა,
 ტკბილი ნექტარი ქინაქ-ინისა.

მიყვარს ის ძღაბი ციებ ცხ-ელებით,
 მიყვარს ფეხებით, მიყვარს ხ-ელებით
 მიყვარს სტომაქით, თმით ნათხელებით,
 შავი ღიღინით, თეთრი ხვ-ელებით.

ვით ლეკვი მზისა, მიწად ნაზ-ეცი,
 სიყვარულისა ქეცით ნაქ-ეცი,
 შენს მკერდზე ალურ ბაგით ნაკ-ეცი,
 ეს ჩემი ტრფობა მას გადა-ეცი.

მაშ გასწი, ბოძო, ჰა კიდევ-ერთი
 კოცნა შენს მუცლად ამონაკვ-ეთი!
 გასწი, რას დგებარ, იწამე ღმ-ერთი,
 გახმა ზღვა გულთან შემონა-ერთი.

ულმერთო ბოძო! კვლავ აქა სდგ-ებარ?
 გულით კი, ვითომ ფუტურო ხ-ე ხარ,
 და როს, ფუტურისტს ნუგეშად მყ-ევხარ
 რისთვის მღალატობ? აბა რას გ-ევხარ?

მაბიჯებს ის ხბო! ვერ ვიგუე ჩარჩის საგანი.

თხემიდან.

უკანას წკნელი მომიხდება დასაღარავი,
 აცქმუტებულ მხრებს ეკადრება შეხება მწველი.
 სად ვქებნო? გზაზე სიბნელეა, არ სჩანს მპარავი...
 სასიძო ლოთმა მიწყალობე უკანას წკნელი

არ მეწყინება.. გათავდება კატის გორება
 და დარბილდება ჩემი გვერდი, ხერხემ-მუცლები
 რბილში მცემს, თუ წელს ვიდაც ქაჯი ეავქორება
 და გვემისაგან იპკურება ჩემი კურცხლები.

ყბის აქავება მალომკაცებს, ვწველ ადამიას,
 (ჩემს შეყვარებას ნულა კვებაეს ხვალ ნოე, მატა!)
 და დაგორებულს, ვაზის მკორტნავს, რკოთა ქამიას,
 ეანდრისფერ ღრენით მომავონებს დამხვალნი კატა.

ევაგი და ბუღბული.

(აჩაია)

ვინილე უცხო წალკოტი,
ზურმუხტი კაბა შვენოდა.
მოალმასებულ მხარ-ბეჭზე
ხუჭუჭი გადმოფენოდა.

ისე ლამაზათ ებნია
გულ-მკერდზე ყვავილთ ღიღები,
ვით ფირუზ ცასა ვარსკლავნი,
ოქროს ვარდებათ შლიღები.

სწვევოდა ნაზი ბუღბული,
ჩანგს აკენესებდა გრძნობითა...
იმსველებოდა ყოველი
არსი მისდამი ტრფობითა.

მხოლოდ შეაკაბა ყვანჩალა,
ძალზე გამძლარი ლეშითა,
ყურსა უგდებდა, ამბობდა
სვენებ-სვენებით, ხენეშითა:


„ჩხავანა ყვაგი რომ იყოს,
არ ეყოლება ბადალი:
მისი კრიმანჭი-გალობა
იქნება ჰიმნი ახალი.

მაგრამ ბუღბული რაკია,
არც ხმა უვარგა, არც კილა;
და მგალობელი ამგვარი
როგორ არ უნდა გავკილო?“

ჩაუნისკარტა... გაჭურინდა,
მონახა მოძმე ყვანჩალა
და იმის ხობტა-ქებაში,
რაც სიბრძნე ჰქონდა, დასცალა.

ესთქვი: ჩვენი კრიტიკოსებიც
ყვანჩალას გავან ზნეობით:
სხვებს გმობენ... თავისიანებს
აქებენ წლითი წლეობით!“

ჩახრუხაძე.



პრესა.

ეშმაკის მათრახის ერთი თანამშრომელთაგანი,
ბ-ნი თენგიზ ფრიტაძე, შეეკითხა პატივცემულ პეტ-
რე მირიანაშვილს შესახებ გაუკუღმართებულ სიტ-
ყვის „უგანათლებულესისა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნმა პეტრე მი-
რიანიშვილმა ყურად იყო ჩვენი თხოვნა და გაზეთ
„საქართველოში“ მოათავსა შემდეგი.

აზრ-გააკუღმართებული სიტყვაბი.

„ეშმაკის მათრახმა“ მარტის 28-ს ნომერში აიგღა „უგა-
ნათლებულესი“, როგორც ისეთი სიტყვა, რომელსაც აზრი
გაპბრუდებია. მაგრამ განა ცოტაა ესლანდელ ჟურნალ-გაზე-
თბაში ამ გვარი გამოთქმა? მგონია, „ეშმაკს“ მათრახი აღარ
შეჭრჩეს, თუ ყველა აზრგაუკუღმართებული სიტყვა მოსძებნა
და გაამათრახა. მართლა განათლებული თუ გვესმის,
როგორც ნასწავლი. რომილთაც სული და გონება სიბნელეში
აღარ იმყოფება, ნათელ მქნილია, „უგანათლებულესი“ რად
უნდა ნიშნავდეს ღირსებას თავადისას? თავადი, თუ გრაფი,
შეიძლება იყვეს უბრწყინვალესი. უგანათლებულესი შინაგანად
ბრწყინვალეა, უბრწყინვალესი კი შეიძლება მარტო გარეგანად
პბრწყინავდეს, შინაგანად კი უღაბნელებულესიც იყვეს.

აგილოთ ესლა „კანონი“ სჯულის მეცნიერებაში კანონი
ის წესი, რომლითაც განაგებენ საეკლესიო საქმეებსა. სჯულ-
სა და კანონს შუა უძევს დიდი მზღვარი. ფრანგის სჯულის
მეცნიერნი იტყვიან, ეკლესიის კანონი როდია სჯული სახელ-
მწიფოსიო. კანონისაგან ვაწარმოებთ მხოლოდ კანონიერსა
ისევე, როგორც ბერძნები კანონ სიტყვისაგან აწარმოებენ
„კანონიკოს“ დასართავ სახელსა. მაშასადამე კანონიკოს ქართუ-
ლად უნდა ითარგმნებოდეს კანონიერი და არა კანონიერი, რო-
გორც ესლა შემოუღლიათ. სჯულისაგან ხომ მარტო სჯული-
ვრს ვიტყვით და არა სჯულიურსა.

ეს მეორე სიტყვა „კანონი“, ცხადია, ბ-ნმა
პეტრემ იმისთვის მოიყვანა აქ, რომ სახეში ჰქონდა
მოქმედება უბრწყინვალესი თავადის პეტრე გრუ-
ზინსკისა, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში
ჩადენილი.

სამწუხაროთ უნდა ავღნაშნოთ, რომ პატივ-
ცემულმა პ. მირიანაშვილმა „მაღლი ჰქმნა“, მაგ-
რამ „მარილი აღარ მოაყარა“. თენგიზ ფრიტაძე
სხვათა შორის სთხოვდა მას, როგორც მკოდნე
პირს, აეხსნა მნიშვნელობა გვარის „გრუზინსკისა“. მართლაც,
საინტერესოა იცოდეს საზოგადოებამ, თუ საიდან წარმოსდგა ეს დამსახურებული გვარი
და რისთვის დაჰკარგა მან ქართული ელფერი. მარ-
თალია, ქართულ გვარებს, შეტადრე თავდაზნაურე-
ბისას, თითქმის უკლებლივ რუსული კუდი გამოე-
ბათ, მაგრამ აქ მაინც ადვილია ორიგინალის აღ-

დგენა. ბავშვი მიხვდება, რომ „არაკჩევეი“ ქართულად „არაყიშვილია“, „გაბაევი“ „გაბაშვილი“, „კარალოვი“ „ყარალოშვილი“ და სხვა.

აქ კი ვერაფერი ველარ გავვიგია: „გრუზინსკი“ არ შეიძლება იყო არც „გრუზინაძე“ არც „გრუზინაშვილი“, ვინაიდან კული კი არა, მთელი ტანია უცხო ტომისა. ბ-ნმა პეტრე მირიანაშვილმა (ვგონებ მოსე ჯანაშვილმაც და ზაქარია ჭიჭინაძემაც) იცის რაშია საქმე და არ გვეუბნება. რას იზამ!

„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომ-საც დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე—ხელი არ მიეკარების, არც ცხადის ძილით წაირთმის, არც მალვით მოიპარების.“

აშკარაა ამას სარგებლობენ მცოდნე პირები.

„ნარევი“

გაზ. „საქართველო“ მეოთხე გყდრღზე ხშირად ათავსებს ისეთ „ნარევს“, რომელიც, ცხადია, არა ერთსა და ორს გადარქვს.

აი მაგალითად;

დედამიწიდან ყველაზე მახლობელი მნათობი მთვარეა. იგი ხანდახან ჰფარავს ხოლმე სხვა ვარსკვლავებს. ამ რამდენიმე დღის წინად (25 თებერვალს) დაჰფარა ვარსკვლავთა ჯგუფი. ეს ჯგუფი ამოვა ხოლმე განთიადის წან და განსაკუთრებით ცხადად სჩანს თიბათვეში. უბრალო თვალი ამ ჯგუფში შვიდს ვარსკვლავს არჩევს, შორს მკერტეული თორმეტს. 150 წლის წინად გალემ აღმოაჩინა, რომ იმ ჯგუფში 36 ვარსკვლავია. 150 წლის შემდეგ მეტრილმა აღმოაჩინა 1000 ვარსკვლავი, რომელიც თვითიული მათგანი ჩვენს დედამიწაზე 3-10-ჯერ უდიდესია. კიდევ 100 წლის შემდეგ ძმებმა ანრებმა იმ ჯგუფში აღმოაჩინეს 2,326 ვარსკვლავი. ამის გარდა ამ ჯგუფში აღმოაჩინეს, რომ ვარსკვლავთა შორის რაღაც ბურუსის მაგვარი ნივთიერება არისა.

ცხადია ეს ამბავი „ხომლს“ ეხება. 150 წლის წინეთ გალევას აღმოუჩენია ამ ვარსკვლავთ კრებაში 36 ვარსკვლავი.

150 წლის შემდეგ (ე. ი. მიმდინარე 1916 წ. მეტრილს დაუთვლია იქ 1000 ვარსკვლავი. ხოლო კიდევ 100 წლის შემდეგ (ე. ი. 2016 წელს) ძმებს ანრებს აღმოუჩენიათ ხომლში 2,326 ვარსკვლავი. (აი ასე ძნელი გასარჩევია: აწმყო, ნამყო და მყოზადი!) იქვე (ხომლში) აღმოუჩენიათ რაღაც ბურუსი, რითაც მტკიცდება, რომ იქ ახალი სისტემა იქმნებაო. ეს უკანასკნელი შენიშვნა ცოტა სიმართლესთან ახლოა. „საქართველოს“ რედაქციაშიც სჩანს „ცოტა ბურუსი“ და აკი მართლაც იქმნება იქ ჩვენი „ეროვნული ბურჟუაზია“!

აი სწორეთ ამ „ეროვნული ბურჟუაზიის“ გულისათვის გაზეთი „საქართველო“ „ნარევშიაც“ ვაქრულ გრძობებს აქსოვს; ისა სწერს.

ამ რამდენიმე ხნის წინად სამის წლის ტახი მოგვლათ. მისი ხორცი იწონიდა 21 ფუთს. ღორს სიმაღლე ორი არშინი ჰქონია, ხოლო სიგრძე სამს არშინზე ცოტა მეტი.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთ ქართველ ბურჟუას ყავს ერთი ასეთი ღორი, მაგრამ ტახი კი არა, ნეზვი. ერთი წლის შემდეგ მას ეყოლება უკვე ცამეტი ღორი (62 გოჭი და ერთიც დედო ღორი).

მეორე წელიწადს 10 ნეზვი გოჭი მისცემს თორმეტ-თორმეტ გოჭს, სულ 120. ამას მოუმატეთ 13 წინანდელი, გამოვა 133. ამათში ასი მაინც იქნება ნეზვი და მესამე წელს მისცემს 1200 გოჭს. ამას თუ მივუმატებთ ძველი წლებისას, მივიღებთ 1333 სულს.

მეოთხე წელიწადს თუ ათასი ნეზვი წესიერად იმრავლებს მას, ეყოლება 13,333 ღორი, ხოლო მეხუთე წლის დამლევს სულ ცოტა 1,213,333 სული

ეს რომ ფუთებზე დავახურდავოთ (ვინაიდა ვაჭრობაში არც სიგრძეს ღორისას და არც სიმაღლეს მნიშველობა არა აქვს, რადგან მათ მამასას ლისად არასოდეს არ ირჩევენ.) გამოვა 25,479,99 ფუთი. იმ დროს, ე. ი. ხუთი წლის შემდეგ გრვანქა ღორის ხორცი რა თქმა უნდა მანეთონაკლებ არ ეღირება. ამ გვარათ ჩვენი ქართველ მწარმოებელი მიიღებს 919, 199,720 მანეთს.

ასე აღვილია „ეროვნული სიმდიდრის“ შექმნა.

„ეშმაკის მათრახის“ მკითხველთ აღბათ უვირთ, რატომ უფრო სასაცილოდ არ გამოთქვით ეს გაზ. „საქართველოდან“ ამოღებულ ცნობები. მიზეზი უბრალოა. ჩვენ გვეშინია!

იმავე „საქართველოს“ „ნარევში“ ურევ ასეთი საშიშარი ამბავი:

სიკვდილი სიცილისაგან.

ერთ ერთ ცირკში თურმე ერთს მსახიობ—მასხარისეთი სასაცილო ამბები უამბია, რომ ხალხი თურმე სიცილი იხოცებოდა.

მასხარას შეუმჩნევია, რომ ერთი თვრამეტის წლის ყწვილი მეტის მეტად იცინოდა და არაქათი აღარა ჰქონდ მიჰვარდნია და წყლით მობრუნება დაუწყია. მაგრამ მისი რვები თურმე მეტად აღიზიანებულა ერთი დაუძახნია: ეს ლიან კარგი იყო, და გარდაცვლილა.

ჩვენც გვეშინია, ვინმე თქვენგანმა არ დაიხოს: ეს კარგიაო და არ გარდაიცვალოს.

მორიელი.

ჩ ვ ე ნ ი ა ლ ე ბ ი .

(კმდეუნება ბათუმის „ზოდრიანიკ-რადნიკ-ტაბეღნიკებს“).

მკაცრ-უბედურნი —
 ცბიერნი,
 წყალ წასაღები —
 ალები,
 ჩვენსა ტანჯვაში —
 ძარცვაში
 გამონაცადი ნაქები,
 მსურს, რომ გრძელადა —
 ვრცელადა
 ყველა შევაქო —
 შევაქო.
 (და თუ ირცხვენენ —
 იწყვენენ,
 მზად ვარ პასუხიც მე ვაგო.)
 სიპატიოსნეს —
 კარგსა ზნეს,
 კარგსა ღირსებას თვისებებს —
 მათში ვაგლახათ.
 ვერ ნახავთ
 ტყვილად ნურავინ
 ნუ ეძებს.
 მით თაღლითობის,
 ფლიდობის
 კურსი აქვთ გათავებული,
 ოინბაზობით,
 ასობით
 ჰყავთ გაფრცქვნილ-გატყავებული.

—
 აი, ეს ვაებატონები
 ფულის და კუჭის მონები,
 ზემოხსენებულ ღირსებით
 საგრძნობლად დატვირთულები,
 (აღებთან ერთად ითქმება
 და მათთან იგულისხმება
 აგრეთვე მათი აგენტიც
 მათ მიერ მოსყიდულები.)
 ევლინებიან სოფელსა
 უცხოს და გაუცნობელსა
 და ჰპირდებიან იქ მუშას
 ქირას სამს მანეთს დღიურსა;

თან კარგსა ბინას სადგომად,
 კარგსა საქმელსა საძლომად.
 ჰხიბლავენ, თვალწინ უშლიან —
 სურათებს ფანტასტიურსა.
 მუშა თანმხდება ადვილად,
 რწმუნდება რომა ნამდვილად —
 ეს კაცუნები არიან —
 აღსავეს სათნოებითა.
 გულს ეფინება მას შვება
 და ბათუმისკენ მოყვება
 მერმისით გატაცებული,
 აღსავეს სასოებითა.

—
 და როს ბათუმში ჩამოვა იგი
 და ჩიბარებს მას „ტაბელნიკი“
 მყის მისსა პასპორტს ადებენ „ვეტოს“
 რომ მან გაქცევა ვეღარ გაბედოს.
 და როს აღარ აქვს გროში საგზალი,
 როს აღარ შესწევს ღონე და ძალი —
 რომ განეშოროს იგი ბათუმსა,
 უდგენენ მაშინ ულტიმატუმსა:
 „რასაც შეგვირდით, ტყუილი იყო,
 მან უკვე შენა ქირი წაიღო.
 სამი მანეთი აწ დაიფიწყე,
 საქმე თუ კი გსურს ეხლავე იწყე.
 ჰორიხის გაღმა შორს უღრან ტყეში
 შვიდი აბაზი გექნება დღეში.
 და თუ არა გსურს, შენია ნება,
 აქ ბრძანდებოდღე ნუ გეწყინება“.
 რა ქნას საწყალმა, რა გზა აქვს მეტი?
 არსით ნაცნობი, არსით იმედი,
 იძულებული ითმენს ყოველსა.
 მიყვება მისსა სისხლის მწოველსა,
 მიდის ადგილზე, იქ „კარგი ბინა“
 უდგება მყისვე მას თვალის წინა.
 მოწული რალაც ფაცხის კარვები,
 არცა ფანჯარა, არცა კარები.
 (აწ კი ესენი რად ეჭვირება,
 როს თვით კედლებში დათვი გაძვრება.)
 არც იატაკი და არცა ქერი,
 სახურავი კი როგორც საცერი.
 თვითოში სცხოვრობს ოც-ოცი სული,
 ყოველგვარ ჰუჭყით გარემოცული.
 კარგი საქმელის სახელიც თითქმის
 აქ იშვიათად თუ სადმე ითქმის.
 თუ ძველი ჰურიც ექმნათ საკმაოთ,



უნდა აღიდონ ღმერთი საბაოთ.
 სიცივე, ყინვა, (მეტადრე ზამთრით)
 გამოწვეული აქ ხშირი ავდრით,
 მრავალსა მუშას აქა მყოფელსა
 ჰყინავს ასალმებს წუთისოფელსა.
 ავადმყოფებსა, გინა თუ საღებს
 აქ ეპყრობიან როგორც ტუსაღებს.
 ფულის აღებას ვინც მოესწრება,
 საბრალოს ტყავი ცხრა წილი სძვრება.
 მათი ხვედრიდან მოზრდილი ლუკმა
 უნდა მიირთვას აღებმა წუწკმა.
 თვითონ კი მუშა ნუ ელის მეტსა,
 თუ კი ეღირსა ერთს მესამედსა.
 მოხდება ხშირად, რომ ვინმე „სტარში“
 (ვინც რომ ცოცხლებთან კვდრებს სწერს დავ-
 თარში)

გაიპარება, თან გაიტაცებს
 მუშების ფულებს ასებს, ათასებს.
 არც მესამედსა არც მესამედსა
 არავინ აძლევს მუშას არცერთსა.
 და რჩება მისდა საუბედუროთ
 უცხო მხარეში ულუკმა-პუროთ.

ეს გახლავთ „კლიშე“ ჩვენი აღების
 და მათი დამქაშ-ამხანაგების.
 მაშ მოერიდეთ იმათ მკითხველო
 თუ არ გასურს შენაც ბედი იწყველო.

კვახნი.



გაცრუებული იმედები.

(კონტრ-უბიჰოლი)

ქრისტეშობისთვის შუა რიცხვები იყო. ქ. თბი-
 ლისში ზამთრის სუსხი იდგა და გარედ ძალი არ
 გაიგდებოდა. საშინლად ჰყინავდა. ამ დროს ქ-ნი
 ხაზიანი იჯდა თავის თბილ კაბინეტში და ახალ
 კომედიას სწერდა ამ სათაურით: „ორ წყალ შუა“.
 უცებ ლამის 12 ს. გაისმა საშინელი ღრიალი.

„თურქები! თურქები მოდიან!“ ქ-ნი ხაზიანი გულ-
 გახეთქილი გარედ გამოვარდა და გასწია სადგუ-
 რისკენ. ამ დროს სრულიად მოულოდნელად ჩვენ
 ერთმანეთს შევეფეთეთ.

— „ააა! გამარჯობა მეგობარო!“—მივესალმე
 ქ-ნი ხაზიანს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მან
 ყური არ მათხოვა და სწრაფად გასწია კასისკენ.
 იგი მალე „ოჩერედში“ ჩაღვა. „ბილეთი! ბილეთი
 მიბოძეთ, ჩქარა!“—დიდის ხვეწნით და მუდარით
 ეუბნებოდა ქ-ნი ხაზიანი კასირს. მეც იქვე ახლოს
 ავიტუზე.

...„ამხანაგო,—ჩუმათ წავიჭრე ქ-ნი ხაზი-
 ანს,—თუ შეიძლება ბილეთი მეც ამიღეთ“. ხაზი-
 ანმა სახის მრისხანე გამომეტყველება მიიღო და
 პასუხი არ გამცა. ცდა ბედის მონახვერეა-მეთქი,
 გავიფიქრე ჩემს გულში და ხელმეორეთ მივმართე
 ცოტა მაღალის ხმით ჩემ კარგ ნაცნობს.— „ამხანა-
 გო!.. მაგრამ ჩემმა კარგმა ნაცნობმა სიტყვა აღარ
 გამათავებინა.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ვინც
 შენი ამხანაგი იყვეს, ისიც“—მიპასუხა ხაზიანმა,
 ელდა ნაცემივით. „Жалкий космополитъ!“—ჩაი-
 ლაპარაკა ჩუმად ხაზიანმა და პირი კასისაკენ მიიბ-
 რუნა.

— თქვენ სად მიბრძანდებით?“—შეეკითხა კა-
 სირი ხაზიანს.

— „მოსკოვში!“—ამაყად მიუგო მან და გა-
 დასცა 16 მანეთი. კასირმა ფული უკან გადმოუგ-
 დო და მიაძახა—„დროს ნუ მაკარგვინებთ... მე
 ხუმრობის გუნებაზედ არა ვარ“. ხაზიანი სახტად
 დარჩა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს ფული არამც
 თუ მოსკოვში, როსტოვშიაც-კი ვერ წაიყვანდა მას.

„მაშ კარგი, მიბოძეთ ბილეთი ბაქომდის“—
 მიაძახა ქ-მა ხაზიანმა კასირს და ხელი გაუწოდა.
 კასირმაც რაღაც ჩაიბუტბუტა და გადასცა მას ბი-
 ლეთი. მე, სწორე გითხრათ, გამეხარდა, რომ თა-
 ნამგზავრი ვიშოვე. მეც მივბოდი... „страха ра-
 ди иудейска“. წარმოიდგინეთ, რომ რაღაც შემთ-
 ხვევის თუ განგების ძალით მე და ქ-ნი ხაზიანი
 ერთ ვაგონში მოვხვდით. მე ბოდიში მოვიხადე და
 გამოვეხმაურე ჩემს კარგ ნაცნობს, მაგრამ მან პა-
 სუხი არ მაღირსა. რამდენიმე წუთს შემდეგ მატა-
 რებელი დაიძრა და რაღაც ქვითინი შემომესმა.
 მე სმენად გადავიქეცი. ქ-ნა ხაზიანმა პირი კედლის-
 კენ იბრუნა და დაიწყა... ტირილი.

„უკაცრავად, მეგობარო, მოკრძალებით ვუთხა-



რი ჩემს მეზობელს, არ შეიძლება ვიცოდეთ თქვენი მწუხარების მიზეზი?

„არ შეიძლება!“ მკვახეთ მიპასუხა მან და უფრო აუწია ხმას. მე ცნობის მოყვარეობა ძალზედ მტანჯავდა. ნეტავ რა დაემართა ისეთი, რომ ასე მწარედ ტირის, — ვფიქრობდი გულში. მინდოდა კიდევ გამოვხეობოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი. ბოლოს შემოვიკრიფე სულიერი ძალა, და მივმართე მოწიწებით:

— უკაცრავად!.. მე თქვენთანა მატერიალისტი არ გახლავართ... ფულის გულისთვის მე არასოდეს არ ვტირი.

მე პირი დავადე და გაშტერებული დავრჩი.

„არ შეიძლება ვიცოდეთ, ვის გულისხმობთ „მატერიალისტებად“? — შევეკითხე ცოტა ხმა მალეღო.“

„თქვენ.. დიახ, სწორეთ თქვენ, ინტერნაციონალისტებს და კოსმოპოლიტებს“, — მიპასუხა ტირილით ჩემმა მეზობელმა. თქვენ არ იყავით, რომ, გაიძახოდით სულელებივით, სადაც ერთ ლუკმა პურს შეგქვამთ, ჩვენი სამშობლოც იქ არისო. საქართველო, ჩინეთი, ბრაზილია, ავსტრალია თქვენთვის სულ ერთია...“ მე სწორე გითხრათ გულმა აღარ მომიტმინა და ცოტა არ იყოს აღელვებულის ხმით შევეკითხე.

— „არ შეიძლება დავვისახელოთ ის წყარო, სადაც თქვენ ამოიკითხეთ ეს სიბრძნე?“ ამ კითხვაზედ ხაზიანი უფრო გაბრაზდა და მოუხშირა ტირილს.

„Ты мне́ близка, какъ родина въ послѣдній часъ изгнания“*) — იძახდა მოთქმით ჩემი მეზობელი.

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო სამშობლოვ“, ხმა მალლა წარმოსთქვა ხაზიანმა და წაიშინა ორივე ხელი თავში. მე გული გამისკდა, მაგრა ებტიბარს მაინც არ ვიტყვდი და ვამშვიდებდი ჩემს მეზობელს.

— თქვენ, მგონი, ცოტა სიცხე გაქვთ, მეგობარო, მოისვენეთ ცოტა ხანს, — ვეუბნებოდი დიდის მორიდებით ჭირისუფალს. მაგრამ იგი არა სცხრებოდა და სლოკინით განაგრძობდა.

„თქვენ არ იყავით, რომ დასცინოდით ნაციონალისტების სამშობლოს სიყვარულს და ლირიზმს...“

*) ე. ი. შენ ისე ტკბილი ხერ, როგორც გოზინაყი ახალ წელიწადს. თარგმანი ქან ბრაზიანს ეკუთვნის. მეზობელი.

ლირიზმი კი ერთი უმთავრესი ელემენტია შემოქმედებისა... ლირიზმს ჰბადებს ტირილი, ხოლო ტირილს-ლირიზმი.

„მაშ, როგორც სჩანს, თქვენი ტირილის მიზეზი ლირიზმი ყოფილა?“

— შევეკითხე ჩემს მეზობელს.

„დიახ! მაშ თქვენ რა გეგონათ?“

„მე კი, მეგონა... უკაცრავად... თურქების ხომ არ ეშინია მეთქი!“

„სრულიადაც არა! მე არავისი არ მეშინიან...“ რიხიანად მომიგო ხაზიანმა. მე ტუჩებში ჩამეკინა...

„რას იცინით?“ შემეკითხა იგი გაკვირვებული.

— „არაფერს... ისე... ერთი ეპიზოდი მომიგონდა თქვენის ცხოვრებიდან. გახსოვთ 1905 წ., სომეხ-თათართა შეტაკება რომ იყო? მაშინაც ასე გარბოდით... განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ პირი ბათომისკენ გქონდათ, ეხლა კი ბაქოსკენ. მაშინ კოსმოპოლიტი ბრძანდებოდით, ეხლა-კი წაინაცონალისტებთ. სჩანს, რომ თქვენ ლირიზმის და ტირილის შორის არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ ყოფილა. არა! თქვენი მწუხარების მიზეზი რაღაც საიდუმლოებით არის მოცული.“

„დიახ... დიახ.., მართალსა ბრძანებთ, ცოტა დამშვიდებით წამოიძახა ქ-მა ხაზიანმა, მხოლოდ თქვენ სიტყვებს ერთი კიდევ უნდა დაუმატო, სახელდობრ, რომ მე სოციალისტური ხელთათმინები თავის დღეში არ მცმია. მე, როგორც წმინდა ლირიზმის მოტრფიალე, ყველაფერს შორიდან ვეალერსები.. Искусство должно быть выше политики“...“

— აა! ეხლა-კი მივხვდი თქვენ აზრს. ალბათ თქვენ იმიტომ მირბიხართ, რათა პოლიტიკაზე და პოლიტიკის მიერ გამოწვეულ ომიანობაზე „მალლა დადგეთ“, როგორც წმინდა ხელოვნების წარმომადგენელი.

— დიახ, დიახ... უმთავრესი ჩემი მიზანი კი იმ გრძობის განცდა გახლდათ, რომელსაც სამშობლოდან შორს მიმავალი კაცი განიცდის, დაუმატა ხაზიანმა...

მეორე დღეს მე და ჩემი კარგი ნაცნობი უკვე ბაქოში გახლდით მისულნი. საღამოს 8 ს. სადგურზედ გამოველით. ის მიემგზავრებოდა ბალაჯარისკენ რუსეთში, მე კი... არ ვიცოდი სადა... აგერ მესამე ხარიც დაირეკა და მატარებელი დაიძრა...



— მადლობა ღმერთს! — ხმა მადლა წამოი-
ძახა ქ-მა ხაზინმა და გაღიწერა სამჯერ პირ-
ჯვარი ქართულად, თუმცა იგი ტომით სომეხი იყო...
უკანასკნელად მოვკარი თვალი ჩემს კარგ ნაცნობს.
მწუხარება სამუდამოთ განშორებოდა მის სახეს და
ზედ გადაჰკროდა ნეტარების ღიმილი...

ასეთი იყო ის კონტრ-ეპიზოდი, რომლის
უნებლიეთ მოწამედ მე გავხდი შარშან ქრისტიმო-
ბისთვის. თუ-კი უბრალო „ეპიზოდებს“ დიდი სა-
ზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს
ყურადღების ღირსია ზემოდ მოყვანილი კონტრ-
ეპიზოდიც. მკითხველი დამეთანხმება, რომ მისი
მნიშვნელობა, ასე ვთქვათ, საკაცობრიო და საის-
ტორიო.

ნესტარი.



ნეტავი გამაგებინა!

ნეტავი გამაგებინა
„კორდი“ რა ჯურის კაცია,
თუ არის ლიტერატორი,
რათ უყვარს პროვოკაცია?!

ინტელიგენტად რომ ნათლავს
სუყველა კაკარდოსანსა,
ნუ თუ ვერ არჩევს ყვავსა და
ბუღბუღს, ეღემის მგოსანსა?

განა კაკარდა უწველის
თუ გოგრა ცარიელია,
ან „კორდის“ გამოსარჩლება
თუ კაცი ჭკუა თხელია?!

რატომ შესცქერის ამ სახელს
ის ვიწრო შეხედულებით.
რომ ავსებს გაზეთ „მეგობარს“
განზრახ შეთხზული ტყულებით!

რათ შეურაცყოფს მწერლობას,
რათ ამახინჯებს სიმართლეს,
რათ დაფოთარობს ბნელეთში,
რისთვის გაუბრბის სინათლეს!

დაბეზლება და დასმენა
ვისი რა შესაფერია,
თუ არ ჯაშუშის, ან მისი
ვინც მათ დავთარში სწერია?

მისებრ ცრუ ვილაც ცერცეტა,
დამქაში აღევნებია,
მასაც კალამი „კორდივით“
უკულმაშებრუნებია:

თავის სახელი ისმაილ
„ლიამსად“ დაუწერია,
თავს მალავს, ბოლო მოუჩანს
მგონი, რომ ესეც შტერია.

და ორივე ერთად სცდილობენ
თეთრი დასახონ შავათა,
ეს რომ სიმართლის გმობაა
ცხადია თავის თავათა.

თუ ფერს უცვლიან ყორანსა
რაც უნდა ხეხონ ქვიშითა,
ან ჩირქს მორეცხენ მათ, ვისაც
იცავენ ანგარიშითა!..

დევ! იცრუონ, იტყუონ
და მრუდე გზებით იარონ,
რაც ამ ხელობით მოიგონ
ერთმანეთს გიუზიარონ.

არაკორდი.

უაჟღერის გასოჯავა.

ბოდისს ვიხდით, რომ ელენე დარჩანის
ლექსში ბოლო სიტყვა შეცდომით დაიბეჭდა. უნდა
იყოს კატა და არა კიტა.



Бальмонтъ.

Люблю содружныхъ Руставели
Гаприндашвили и Яшвили.